ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–72

ქ. თბილისი; 8 დეკემბერი 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე

ავთანდილ ცინცაძე

ნინო რუხაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი – **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე – **ლევან მიქავა**

სსიპ- ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ოთარ ჩიტიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს **იურისტი დავით ჩანქსელიანი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. ლევან ჯაფარიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.
3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე”ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებთაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის“ (ს/კ: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;
7. “ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;
8. “ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.106.01.501 და N01.15.07.003.106.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;

9. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
10. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N86-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.129.053.01.500; N01.20.01.129.053.01.501 და N01.20.01.129.053.01.502)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
11. “ქალაქ თბილისში,სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
12. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
13. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უძოს III ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

თაობაზე“ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტის შესახებ;
14. “ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.009.01.543) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

თაობაზე“ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
15. “ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.604) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი; თაობაზე”
16. “ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N 01.15.07.006.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.001 და N01.17.02.059.105.01.002)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;

18. "ქალაქ თბილისში,ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.084)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
19. "ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ:202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებისთაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. ,,ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინგრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინგრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. "ქალაქთბილისში, დიდილილო/სოფელდიდლილოშიარსებული 70 კვ.მმიწისნაკვეთის (საკადასტროკოდი: 81.08.04.628) სსიპ - საქართველოსსამოციქულოავტოკეფალურიმართლმადიდებელიეკლესიისთვის (ს/ნ:204395537)პირდაპირიგანკარგვისფორმითპრივატიზებისსაკითხისშეთანხმებისშე სახებ" ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
22. "ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003.01.573; N01.15.05.078.003.01.574)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;
24. „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506; 01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის საკითხის მოწონებისთაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქალაქთბილისში, ელდარისქუჩა №12-ში, კორპუს №1-შიდაკორპუს №2-ში (საკადასტროკოდი: №01.19.20.026.027) მდებარეუძრავიქონების პირდაპირიგანკარგვისფორმითპრივატიზებისსაკითხისშეთა ნხმებისთაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. „ქალაქთბილისში, ქუჩაბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტროკოდი: №01.17.12.023.049)

მდებარეუძრავიქონებისპირდაპირიგანკარგვისფორმითპრივატიზებისსაკითხისშეთან ხმებისთაობაზე“ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №344 განკარგულებაშიცვლილებისშეტანისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 20 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 121 648,1 ათას ლარს, ამასთან, დასძინა, რომ ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20 000,0 ათასილარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში ავტობუსების შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად.

მომხსენებელმა თხრობა განაგრძო და მიუთითა, რომწარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებულიდადამატებითირესურსების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა ჩამოთვალა ის პროგრამები და ქვეპროგრამები,რომლებზეც, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, გადანაწილდა საბიუჯეტო ასიგნებები,მათ შორის, ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტუის მშენებლობა აღდგენა იზრდება - 40 947 300 ლარით; ტრანსპორტის განვითარება - კოდი 01 02 – 47 607 100 ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 16 000,0 ათასი ლარი;
- მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 01 02 03) – 4 000,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 27 979,9 ათასი ლარი; ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნება – 909,5 ათასი ლარი; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 150,0 ათასი ლარი;

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩინება და გაუმჯობესება - 4 663 200 ათასი ლარით; დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 6 335,5 ათასი ლარი;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) ქვეპროგრამის ასიგნება – 220,0 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 700,0 ათასი ლარი,
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02) – 330,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 46,0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) – 1 900,0 ათასი ლარი;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, საბიუჯეტო ასიგნებები ემატება „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების" ქვეპროგრამებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემდეგ რაიონებში: დიდუბის რაიონში– 160,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში– 90,0 ათასი ლარით; ვაკის რაიონში– 40,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში– 50,0 ათასი ლარით; ისნის რაიონში– 160,0 ათასი ლარით; კრწანისის რაიონში– 62,3 ათასი ლარით; მთაწმინდის რაიონში – 79,8 ათასი ლარით,

მომხსენებელმა ისაუბრა იმ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომელთა საბიუჯეტო ასიგნებები მცირდება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, მათ შორის ხაზი გაუსვა შემდეგს:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა შეკეთება - 6 659 800 ათასი ლარით;
- გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამი სასიგნებები – 6 279,9 ათასი ლარით;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 2 138 600 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნება – 1 207,7 ათასი ლარით;
- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 1 140,0 ათასი ლარი,
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 18 652,0 ათასი ლარი,
- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – 32,6 ათასი ლარით;
- ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 200,0 ათასი ლარი,
- მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 2 978,5 ათასი ლარით;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის საქალაქო სამსახური (კოდი 10 20) – 82,4 ათასი ლარი;

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, როგორც საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობების ცვლილებებას, ასევე,**2020 წლის ბიუჯეტის შემდეგი ქვეპროგრამები განიცდის ტერმინოლოგიური და დამაზუსტებელი ხასიათის ცვლილებებს:**

- დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02);
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05);
- მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანინსას უფასო და შეღავათაინი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11);
- სახელწოდება ეცვლება ქვეპროგრამას - სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) და მიეთითება შემდეგი სახით: „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია".

მოხსენების **დასასრულისაკენ, გაიოზ თალაკვაძემ დაამატა, რომ** წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება და დადგენილების მოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში ნაცვლად მითითებულისა – „ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე", მიეთითოს შემდეგი: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ლევან ჯაფარიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.

ლევან ჟოჟოლიანმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ 2020 წლის 17 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობის სახით მიიღო ამავე საკრებულოს კრწანისის ოლქის მაჟორიტარი წევრის თემურ გორგაძის უფლებამოსილების შეწყვეტისსაკითხი, რაც აღნიშნულ ოლქში მ/წლის 31 ოქტომბერს საკრებულოს შუალედური არჩევნების ჩატარების საფუძველი გახდა.

მომხსენებელმა ისაუბრა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებზე და განმარტა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 164-ე **მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული საკითხი** და აღნიშნა, რომ თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენაზემომითითებული ორგანული კანონის 164-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი პროცედურა და აღნიშნა, რომ შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები იკავებენ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული გამოკლებული წევრების ადგილებს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ კანონდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველსაყოფად, N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მ/წლის 24 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში **N10/032032930-03** წერილით წარმოადგინა 2020 წლის 31 ოქტომბრის თბილისის საკრებულოს შუალედური არჩევნების შემაჯამებელი ოქმი (ლევან ჯაფარიძის არჩევის შესახებ დროებით N12977 მოწმობასთან ერთად), რომლის მიხედვითაც, **ლევან ჯაფარიძე (პ/ნ: 01006011682) არჩეულია საკრებულოს წევრად.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განხილვისათვის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმადმიიჩნიეს, რომ **საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ქალაქ თბილისისსაკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები დაცულია** დაქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ლევან ჯაფარიძის უფლებამოსილება.**

მოისმინეს:

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „მეორეული

საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებთაობაზე"ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსდადგენილებისპროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრულ საკითხზე და აღნიშნა, რომ მითითებული ითვალისწინებს, **მოცემული დადგენილებით დამტკიცებული წესის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსებასა ან/და რეალიზაციაზიის ღონისძიებებზე, **2021 წლის 1 იანვრიდან გავრცელების საკითხს.**

მომხსენებელმა განაგრძო თრობა და მიუთითა, რომსაქართველოში ახალი კორონა ვირუსით (Covid - 19) გამოწვეული დაავადებისმასშტაბების გავრცელების და მისი აღკვეთისათვის დადგენილი რიგი ღონისძიებების გათვალიწინებით, წესით რეგულირებულ სფეროში დასაქმებული ბიზნეს სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ბიზნეს სუბიექტებს მიეცეთ ვადა კიდევ ერთი წელი, რათათავიანთი საქმიანობა მოიყვანონ შესაბამისობაში ზემომითითებულ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,** შესაბამისად, დადგენილების პროექტით ცვლილება შედისქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში და დადგენილების მე–2 მუხლის ყალიბდება ახალი რედაქციით, რაც განაპირობებს შემდეგს:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებით დამტკიცებული წესიქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელდება 2022 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად 2021 წლის 1 იანვრისა.**

მოხსენების დასასრულისაკენ, ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტი **მოწონებულ იქნაქალაქ თბილისისმთავრობის** მიერ, შესაბამისი განკარგულებით, ამასთან, მიუთითა, რომ პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტისსამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩამატება და პროექტის პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის**

გათვალისწინებით,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული **შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს იურისტმა დავით ჩანქსელიანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაშიცვლილებისშეტანისშესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა,ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს მიერ 2020 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულ №64-108 დადგენილებით განსაზღვრულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილების პირველ მუხლით, დანართი N1–ის სახით დამტკიცდა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი, ხოლო, მე–2 მუხლით, დანართი N2–ის სახით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური".

მომხსენებელმა **კომისიის წევრებს გააცნოპროექტით გათვალისწინებული საკითხი** და მიუთითა, რომცვლილება შედის ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში, რაც გულისხმობს, დადგენილების მე–2 მუხლით დამტკიცებული დანართი N2–ის – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური" ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

მომხსენებელმა ჩამოთვალა დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N2–ში დადგენილების პროექტით განსახორციელებელი ცვლილებები, შემდეგი სახით:

- **ხორციელდება ზოგიერთიმომსახურებისდასახელების კორექტირებადადაზუსტება;**
- **იცვლება ცალკეული მომსახურების საფასური (ზოგიერთი მომსახურების საფასური მცირდება, ხოლო ზოგიერთის იზრდება, საბაზრო ღირებულებათა შესაბამისად);**
- **ხდება მომსახურების სახეობების ზრდა და ნაცვლად 222 სახეობისა განისაზღვრება 284-ით;**
- **დანართს ემატება ცალკეულ სამუშაოთა ესკიზი ნახაზის სახით;**

- **განისაზღვრება LED სანათების ტექნიკური მახასიათებლები.**

მოხსენების დასასრულისაკენ, დავითმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი მიღება არ გამოიწვევს, აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომაროებაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, დადგენილების პროექტის თანახმად, დადგენილების მოქმედ რედაქციაში მომსახურებების დამატების განმაპირობებელ/გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით.

მომხმარებელმა განმარტა, რომ განხორციელდა იმ დამატებითი ახალი მომსახურებების გათვალისწინება და კალკულაცია, რასაც არ ითვალისწინებდა დადგენილების მოქმედი რედაქცია, აღნიშნული ძირითადად შეეხო მხატვრულ განათებებთან დაკავშირებული მომსახურებების დამატებას, შესაბამის ფასმაჩვენებელთან ერთად.

ლევან ჟორჟოლიანმა გაუზიარა კომისიის წევრებსა და მომხსენებელს, დადგენილების მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული მომსახურებების საბაზრო ღირებულებების ოდენობების საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება და განმარტა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნულ ფასთა მაჩვენებელი მითითებულ იქნას დადგენილებით დამტკიცებულ დანართში იმგვარად, რომ გონივრულად პასუხობდეს/იყოს შესაბამისი სავალუტო კურსის ხშირ ცვალებად ხასიათთან, რათა თავიდან იქნას აცილებული აღნიშნული მიზეზით, საკრებულოს მოქმედ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის ინტენსიურობა.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის** მითითება, პროექტის პირველი მუხლის, დადგენილების დანართი N2–ის მითითების ნაწილში, სტილისტური თვალსაზრისით გამართვა, ხოლო პროექტის პრეამბულასა და პირველი მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ - **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზედამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა თხრობის დასაწყისში ისაუბრა,განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საკითხზე და მიუთითა, რომ თბილისისტერიტორიებისგანაშენიანებისრეგულირებისწესებითდაშვებულინებისმიერიფორ მითგამოყენებადაგანაშენიანებადასაშვებიამხოლოდიმშემთხვევებში, თუტერიტორიებიუზრუნველყოფილიასათანადოსაინჟინროდასატრანსპორტოინფრასტრუქ ტურით. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, საერთოსაქალაქოსაინჟინროდასატრანსპორტოინფრასტრუქტურითუზრუნველყოფათბილის ისმუნიციპალიტეტისმერიისპასუხისმგებლობისსფეროსგანეკუთვნება.

მომხსენებელმა, ასევე ხაზი გაუსვა განაშენიანების რეგულირების გეგმის მნიშვნელობას,რომელიც წარმოადგენს – ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს და უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიისმოწესრიგებას, სივრცით-ტერიტორიულ მოწყობასდაერთიანსაქალაქოსისტემაშიინტეგრირებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის 3[1] პუნქტით გათვალისწინებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე **საგზაომოძრაობისორგანიზებისსქემისწ**არმოდგენა.

ოთარ ჩიტიძემ დრო დაუთმო წარმოდგენილი პროექტის განმაპირობებელი მიზეზის აღწერას და ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ საკითხზე, შემდეგი სახით:არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია ნორმატიული აქტით განსაზღვრულ იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტროტუარების რეგლამენტები, მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ **წესების მე-8 მუხლის 3[1] პუნქტში და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მოთხოვნებს ემატება შემდეგი ჩანაწერი:**

- „მათშორისგათვალისწინებულუნდაიქნას, რომ ინდივიდუალური განაშენიანების შემთხვევაში საგზაომოძრაობისორგანიზებისსქემაშიდაგეგმარებაში (არსებობისშემთხვევაში) დასაკადასტროსაზღვრისმიმდებარედ გათვალისწინებული ტროტუარებისსიგანეუნდაშეადგენდეს არანაკლებ 1.5 მეტრს, ხოლო მრავალფუნქციური კომპლექსის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი ობიექტის განთავსებისას - 2.5 მეტრს“.

ამასთან, ინდივიდუალური განაშენიანებისას ორმხრივი მოძრაობის შემთხვევაში გზის სიგანე „უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5.5 მეტრს, ხოლო ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში - 3.5 მეტრს. მრავალფუნქციური კომპლექსის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი ობიექტის განთავსებისას ორმხრივი მოძრაობის შემთხვევაში გზის სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6.0 მეტრს, ხოლო ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში - 3.5 მეტრს. „

მომხსენებლის მითითებით, ზემომითითებულ მუხლს ემატება 3² პუნქტიც, რომლის მიხედვით, ამ მუხლის **,,3¹" პუნქტის მოქმედება ტროტუარების და გზის სიგანის პარამეტრების ნაწილში არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში.**მოხსენების დასასრულს, ოთარ ჩიტიძემ მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართა არსებულ შემდეგ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება,ამასთან დადგენილების პროექტის პირველი მუხლის შესავლის შესაბამისი რედაქციით და პროექტის პირველი მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით ჩამოყალიბებული 3¹ პუნქტის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" (ს/კ: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N355 განკარგულებაში ცვლილებების განხორციელებას დათანხმობის მიცემასქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მთავრობის

2016 წლის 19 ოქტომბრის N40.06.874 განკარგულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების 22-ე მუხლის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" გათავისუფლების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ დეტალურად აცნობა კომისიის წევრებს პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია და მიუთითა შემდეგი სახით:

- ქალაქ თბილისის მთავრობის, ქალაქ თბილისის საკრებულოს და ქალაქ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების საფუძველზე, შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმს" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 30 წლის ვადით, გადაეცა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 36,916 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საიჯარო პირობების თანახმად, იჯარის საგანი განიკარგა საფეხბურთო სტადიონებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით;
- საიჯარო პირობების მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 46,000 (ორმოცდაექვსი ათასი)ლარს,რომელიც გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად, ყოველ 3 თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა გადახდის ვადა ათვლა დაიწყო მოიჯარის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან;
- საიჯარო პირობების 22-ე პუნქტის თანახმად კი, სარგებლობის ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არანაკლებ 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ 2017-2019 წლების განმავლობაში მოიჯარე - შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმი" ვერ ახერხებდა საიჯარო პირობებით გათვალისწინებული სარგებლობის ქირის გადახდას, რასაც მოწმობს კლუბის დირექტორის მამუკა ბიძინაშვილის განცხადება, რითაც მან სააგენტოს აცნობა, რომ საფეხბურთო კლუბი მწვავე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, რის გამოც მოიჯარე მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და გადაეხადა ყოველწლიური საიჯარო ქირა. მოიჯარე, ასევე, ვერ ახერხებდა გადაცემული საიჯარო საგნის საფეხბურთო სტადიონებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნობრიობით გამოყენებას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, შემდეგი მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ:

- ქალაქ თბილისის მერს მიმართა **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ.** აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანო, შუამდგომლობას უწევს სსიპ - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების საფეხბურთო სპორტულ ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობის მიზნით დაინტერესებულია უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი, მათ შორის, **N01.19.33.019.135** საკადასტრო ერთეული.

- **მოიჯარემ** განცხადებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ინვესტორი, რომელსაც უნდა დაეფინანსებინა საფეხბურთო კლუბი და შეესრულებინა საიჯარო პირობებით გათვალისწინებული მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, მათთვის გაურკვეველი მიზეზებიდან გამომდინარე არ იქნა დაშვებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია მოიჯარისა და ინვესტორის ურთიერთშეთანხმების ჩაშლა. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ კლუბმა კვლავ ვერ შეძლო გადაცემულ ტერიტორიაზე საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა პანდემიიდან შექმნილი სიტუაციის გამო. მოიჯარემ ითხოვა საჯარო ქირის ცვლილება და მისი განსაზღვრა სიმბოლური ფასად - 1 ლარად. ამავე წერილით, მოიჯარემ მოითხოვა საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.
- განცხადებაში, მოიჯარე ასევეაღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილია სსიპ - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ N01.19.33.019.135 საკადასტრო ერთეულით დაინტერესების შესახებ და იგი არ არის წინააღმდეგი შეწყდეს საიჯარო ქონებაზე მისი იჯარის უფლება, სააგენტოს მიერ საიჯარო ქონების ზემოაღნიშნულ სუბიექტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის მიზნით.
- 2020 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით, მოიჯარის მიერ გადაუხდელი საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენს 160,905.48 ლარს, ხოლო აღნიშნულის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა 122,750.56 ლარს.

მოხსენების დასკვნით ნაწილში, მომხსენებელმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდაგანკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N355 განკარგულებაში ცვლილებების განხორციელებას და საიჯარო პირობებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის ოდენობა ნაცვლად 46,000 (ორმოცდაექვსი ათასი) ლარისაგანისაზღვრება 1 (ერთი) ლარით, მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის დაწყების მომენტიდან მის დასრულებამდე.
- თანხმობის მიცემასქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმთავრობისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის N40.06.874 განკარგულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების 22-ე მუხლის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს ,,საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" (ს/კ: 404984497) გათავისუფლების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლების რედაქტირების და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე** მუხლის მე-2 პუნქტის მითითების, პროექტი სათაურის შესაბამისი სახით ჩამოყალიბების, ასევე, პროექტის პირველი, მე–2 და მე–3 პუნქტების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, № 12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი № 7-ში, 1-2 სართულზე, მდებარე 109.34 კვ.მ. ფართობის ბინა№ 3-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე რუსუდან გობეჯიშვილისთვისსიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, **ამასთან ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:**

- მოქალაქე რუსუდან გობეჯიშვილმა განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, გაწეულ იქნა შუამდგომლობა მოქალაქე რუსუდან გობეჯიშვილის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართის პრივატიების საკითხთან დაკავშირებით;
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტები, სადაც, მითითებულია, რომ რუსუდან გობეჯიშვილი ოჯახთან ერთად დაახლოებით 29 წელი ცხოვრობს მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოქროყანა, ალ. ყაზბეგის ქ. № 12, ბინა № 3; ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები, სანოტარო წესით

დამოწმებული თანხმობით, ადასტურებენ, რომ რუსუდან გობეჯიშვილი ოჯახთან ერთად 1991 წლიდან ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,მრავალი წლის მანძილზე, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონებისპირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, რუსუდან გობეჯიშვილისთვისსიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრიავტიზების საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის ქალაქთბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით აღნიშვნის, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ამავე პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორების და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.106.01.501 და N01.15.07.003.106.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანაში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №1-ში, პირველ სართულზე მდებარე 54.50 კვ.მ. და სარდაფში მდებარე 11.56 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე გილდი თვარაძისთვისსიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, **ამასთან, ყურადღება გაამახვილა, შემდეგ დეტალებზე:**

- მოქალაქე გილდი თვარაძემ განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ოჯახთან ერთად ფაქტობრივად დაკავებული ფართების მისთვის, სიმბოლურ ფასად - 1

(ერთ) ლარად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, გამგეობამ შუამდგომლობის წერილი გასცა, აღნიშნული პირის მიერ, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხზე.

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველო გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ გილდი თვარაძეოჯახთან ერთად 1990 წლიდან ცხოვრობს მისამართზე - ქ. თბილისი, ოქროყანა, სულხან საბა ორბელიანის № 1; ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, გილდი თვარაძის მიერ 1992 წლიდან ზემომითითებულ მისამართზე, ოჯახთან ერთად ცხოვრების ფაქტს.

მოხსენების დასასრულს, მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,მოქალაქე გილდი თვარაძისთვის, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტისქალაქთბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით აღნიშვნის, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ამავე პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორების და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.069.01.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N7, პირველ სართულზე, ბინა N1-ში მდებარე 108.04კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირიგანკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად** მოქალაქე ვაჟა შავერდაშვილისთვის **პრივატიზების თაობაზე საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგი გარემოებების შესახებ:

- მთაწმინის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ვაჟა შავერდაშვილმა დაითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N7, პირველ სართულზე, ბინა N1-ში მდებარე, მისფაქტობრივ მფლობელობაშიარსებული 108.04კვ.მ.საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდომლობის გაწევს, თავის მხრივ, გამგეობის მიერ გაცემულ იქნა შუმდგომლობის წერილი, მოქალაქის თხოვნას დაკავშირებით;
- დაიტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში წლების მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტით;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულიწერილებით,ვაჟა შავერდაშვილსადა მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში, მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში, ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N86-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.129.053.01.500; N01.20.01.129.053.01.501 და N01.20.01.129.053.01.502)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში,დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N86-შიპირველ სართულზემდებარე 79.18კვ.მ,მეორე სართულზე მდებარე 74.56კვ.მ და სარდაფში მდებარე 84.00კვ.მუძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი)ლარად,მოქალაქე მარინე ტაბუცაძისთვისპრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებების შესახებ:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მარინე ტაბუცაძემდაითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N86-შიმდებარე, მისფაქტობრივ მფლობელობაში არსებული,პირველ სართულზე მდებარე79.18კვ.მ, მეორე სართულზე მდებარე 74.56კვ.მ და სარდაფში მდებარე 84.00კვ.მსაცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, ვაკის რაიონის გამგეობამ, გამოკვლეული დოკუმენტაციით, ფოტომასალებითა და სარეკომენდაციო წერილითმიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებულიპირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,როგორცსაქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, მარინე ტაბუცაძეოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 1992 წლიდან, ამასთან, სანოტარო წესით დამოწმებული აქტების თანახმად მოქალაქეები ქეთევან იოსელიანი, და ლეილა ფირცხალავა ადასტურებენ, რომმარინე ტაბუცაძეოჯახთან ერთად დაინტერესებაში არსებულ ფართში ცხოვრობს 1993წლიდან.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, **მარინე ტაბუცაძისა** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული** არ არის.

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისისსაკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში, მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში, ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომგანკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში,სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N 7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში, პირველ სართულზე ბინა N1-ში მდებარე 107.1 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ია ჩიჩუასთვის სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ია ჩაჩუამ და ითხოვა, ოჯახთან ერთად 28 წლის განმავლობაში დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი,სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N 7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში, პირველ სართულზე ბინა N1-ში მდებარე 107.1 კვ.მ უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით,შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ შუმადგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, ია ჩიჩუას მიერ დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხზე;
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულმისამართზე მოქალაქე ია ჩიჩუას ცხოვრობს 29

(ოცდაცხრა) წელია; ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტით ადასტურებენ, რომ ია ჩიჩუა 1992 წლიდან დღემდე, ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის თანახმად, ია ჩიჩუასა და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის;

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა დაგადაწყვიტა,მოქალაქე ია ჩიჩუას მიერ, წლების მანძილზე დაკავებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვისფორმით, **სიმბოლური ფასად - 1** (ერთი) **ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში, მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში, ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისში,სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა,განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ საკითხზე და აღნიშნა, რომ ხორციელდება,ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N10-ში, 1-2 სართულზე მდებარე 129.18 კვ.მ. ფართობის ბინა N3 მოქალაქე ირინე გელაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემა.

ირაკლი თავართქილაძემ დეტალურად გააცნო წევრებს საკითხთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებანი:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **ირინე გელაშვილმა** და ითხოვა,მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N10-ში,1-2 სართულზე მდებარე 129.18 კვ.მ. ფართის, ბინა N3-ის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა; თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს.
- დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს **მიერ გაცემული დოკუმენტი, რის მიხედვითაც,** მოქალაქე ირინე გელაშვილი **1991 წლიდან** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებულ აქტით ადასტურებენ, დაინტერესებული პირის უძრავ ქონებაში 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტს.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტით, მოქალაქე ირინე გელაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უბოს III ჩიხიN2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით,განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უბოს III ჩიხიN2-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე იზა საღირაშვილისათვის1964 წლიდან დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული დეტალების შესახებ და მიუთითა შემდეგი:

- მთაწმინდისრაიონისგამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **იზა საღირაშვილმა**და ითხოვა, წლების მანძილზე, თვითნებურადდაკავებული ფართის, მდებარე, ქალაქ თბილისი, დაბა კოჯორი, უბოს III ჩიხიN2-ში მეორე სართულზე, მდებარე50.75 კვ.მ.ფართისუძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ შუმდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, კანონდებლობით დადგენილი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების უზრუნველყოფის თხოვნით, მოქალაქისათვის თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით.
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ იზა საღირაშვილი მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 46 (ორმოცდაექვსი) წელი, ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერებით ადასტურებენ დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში 1964 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას.
- სსიპ–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილებით, იზა საღირაშვილისა და მისი ოჯახსი წევრის სახელე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნულიუძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.009.01.543) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში,გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა N15-შიმეორე სართულზე მდებარე 17.51 კვ.მ.უძრავი ქონებისმოქალაქე თინა ახობაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია:

- ჩუღურეთის რაიონის გამგეობასდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს განცხადებით მიმართა მოქალაქე თინა ახობაძემდა ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში მრავალის წლის მანძილზე, ცხოვრებაში ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის II განყოფილება, გაცემული დოკუმენტით, ასევე, მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ადასტურებენ, მოქალაქე თინა ახობაძის მიერ 1980 წლიდან ზემომითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს;
- ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ მოძიებული ინფორმაციით, თინა ახობაძე ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა N15-ში ცხოვრობს 1980 წლიდან დღემდე.
- ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ გაცემულ იქნა შუამდგომლის წერილი, სადაც მითითებულ იქნა, რომ გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე თინა ახობაძის წარმომადგენელმა და ითხოვა, სოციალურად დაუცველი მოქალაქის თინა

ახობაძისათვის მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

- ამასთან, წერილში ასევე აღნიშნულია, რომ 17 კვ.მ. ბინა რომელიც თინა ახობაძის საკუთრებაში ირიცხებოდა, 2011 წელს მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე გაასხვისა, ხოლო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, თინა ახობაძეზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისისსაკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის **თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.604) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმითპრივატიზების თაობაზე"*ქალაქ* თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით,პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში მეორე სართულზე მდებარე 86.25 კვ.მ ფართის მოქალაქე სესილი დავრაშელიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე, თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ დრო დაუთმო, პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებზე საუბარს:

- გლდანის რაიონის გამგეობას და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქე **სესილი დავრაშელიძემ**და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში,ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში მეორე სართულზე მდებარე **86.25 კვ.მ** ფართისსაკუთრებაში გადაცემა;
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე სესილი დავრაშელიძე 2000 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე, ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „დისკურია" კრების ოქმით, ამხანაგობის წევრები ადასტურებენ სესილი დავლაშერიძის მიერ, 2000 წლიდანქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში ცხოვრების ფაქტს.
- ამასთან, გლდანისრაიონის გამგეობის მიერ მოძიებული ინფორმაციით, სესილი დავრაშელიძექალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში ცხოვრობს 2000 წლიდან დღემდე;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შესაბამისიწერილის თანახმად, სესილი დავრაშელიძე სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული არ არის;
- გლდანის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართასსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა,არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქისსესილიდავრაშელიძისათვის **მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით;**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სესილი დავრაშელიძეზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს, მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად სესილი დავრაშელიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N 01.15.07.006.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ვახტანგი მათიაშვილისთვისსიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული დეტალების შესახებ:

- მოქალაქე ვახტანგმათიაშვილმა მიმართამთაწმინდის რაიონის გამგეობას, მრავალი წლის მანძილზე, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, თავის მხრივ, გამგეობამ, ქალაქ თბილისის მთავრობას მიმართა შუამდგომლობით, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფისა და დაინტერესებული პირისათვის თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით;
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი,სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგ გიორგის ძე მათიაშვილი 2006 წლიდან ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ, რომ მოქალაქე ვახტანგი მათიაშვილი 2006 წლიდან თავის ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე;
- მთაწმინდის რაიონის გამგეობა-მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების შესაბამისი თანამშრომლის მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმებით, ვახტანგ მათიაშვილი, ოჯახთან ერთად, 2005-2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერით, ვახტანგი მათიაშვილი ოჯახს მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა – 29070;

მოხსენების მიწურულს, საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისისმთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,მოქალაქე ვახტანგი მათიაშვილისთვისთვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის ქალაქთბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.001 და N01.17.02.059.105.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა მიუთითა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში,საინგილოს ქუჩა N74-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- ისნის რაიონის გამგეობასგანცხადებით მიმართა მოქალაქეებმა **ნანა ჟვანია-გვალიამ და ლია ტყემალაძემ**და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში, არსებული უძრავი

ქონების, **59.30 კვ.მ და62.84 კვ.მ**ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

- მოქალაქეთა მიერ, ფართებში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოსმიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ ლია ტყემალაძე და ნანა ჟვანია-გვალია ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე 2002 წლიდან დღემდე. ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობებით, ადასტურებენ, რომ მითითებული პირები, ნამდვილად ცხოვრობენ 2002 წლიდან მითითებულ ფართებში;
- ისნის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართასსიპ - ქონების მართვის სააგენტოსდა ითხოვა, მოქალაქეებს: **ლია ტყემალაძე და ნანა ჟვანია-გვალია,**რომლებიცმრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში მდებარე უძრავ ქონებით,**სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში;**
- ნანა ჟვანია-გვალიას მეუღლე დავით გვალია მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა, სამაჩაბლოს ომისა და ავღანეთის მისიის მონაწილე. ხოლო ლია ტყემალაძე მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა, ეროვნული გვარდიის საშტაბო ასეულის კავშირგამბულობის რადიო ოპერატორი;
- **ლია ტყემალაძისა და ნანა ჟვანია-გვალიას ნოტარიულად დამოწმებული უარის თანხმობა**, იმასთან დაკავშირებით, თუ ლია ტყემალაძეს და ნანა ჟვანია-გვალიას საკუთრებაში გადაეცემათ ქალაქ თბილისში,საინგილოს ქუჩა N74-შიმდებარე უძრავი ქონება, მათ და მათი ოჯახის წევრებს არ ექნებათ არანაირი მოთხოვნა და პრეტენზია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას, განკარგულების დანართი№1-ით წარმოდგენილ პირთათვის და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში,ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში,ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N1-ში,ბინა N84-ში მდებარე17.00კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით,სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე ნინო მამადაშვილისთვისგადაცემის საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო მამადაშვილმადა ითხოვა, მისფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, თავის მხრივ, გამგეობამ შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს დევნილის სტატუსის არმქონე პირისათვის, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით.**მომხსენებელმა ასევე, ყურადღება გაამახვილა** შემდეგი გარემოებებზე:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ ნინო მამადაშვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობსზემომითითებულ მისამართზე2002 წლიდან. ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ აღნიშნული პირის მიერ**2002 წლიდან ცხოვრების ფაქტს.**

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **ნინო მამადაშვილისა** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკური თვალსაზრისით, გასწორების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.N96-110-ისმიმდებარედ(ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირიგანკარგვისწესითშპს „მარენოსთვის" (ს/ნ: 202198237) იჯარისფორმითსარგებლობისუფლებითგადაცემისსაკითხის შეთანხმებისთაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა,პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.N96-110-ისმიმდებარედარსებული ტერიტორიიდან 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირიგანკარგვისწესით,შპს „მარენოსთვის"იჯარისფორმითსარგებლობისუფლებითგადაცემისსაკითხზე ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსელექტრონულიგანცხადებებით მიმართა შპს „მარენოს"დირექტორმადა ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.N96-110-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა,**ღია კაფეს მოწყობის მიზნით.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა **სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს,**

რომელმაც სააგენტოს აცნობა, რომ საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და მისი გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მაგიდების და სკამების საყვავილე ქოთნების გარეშე განთავსების რეკომენდაციით (ან მცირე ზომის ქოთნების განთავსებით);

- სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით,დაინტერესებაში არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.007.049) წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 1ოქტომბრისმდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 440 (ერთი ათას ოთხას ორმოცი) ლარით.

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელადა გადაწყვიტა,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.N96-110-ისმიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირიგანკარგვისწესითშპს „მარენოსთვის"იჯარისფორმით,სარგებლობისუფლებითგადაცემისსაკითხისა და მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **1 500(ერთი ათას ხუთასი)** ლარის ოდენობით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, განკარგულების პროექტის მე–3 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით**,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინგრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინგრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა თხრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობისსახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმდა „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულება, რისსაფუძველზე, მყიდველს სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 13 266 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზეარსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული **საპრივატიზებო პირობებიდან დარღვეულ პირობებზე, შემდეგი სახით:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული **მიწის** ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან - 2017 წლის 5 ივლისიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განსაზღვრულ პირებს (20 (ოცი) ოჯახი) საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცეს არანაკლებ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში - 2018 წლის 5 ივლისამდე, წარმოადგინოს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით განსაზღვრული პირების (20 (ოცი) ოჯახი) სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა,რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები, როგორც „კრედიტორები" თანხმობას აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, შპს „მაილინ გრუპისაგან", როგორც „მოვალისგან" მიიღონ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი და მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნებათ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებიდან და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არანაირი მოთხოვნის უფლება და რაიმე სახის პრეტენზია;
- შპს „მაილინ გრუპის" მიერ ხელშეკრულების 4.3.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული „კრედიტორების" თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლო საკუთრებაში გადასცეს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით თითო ოჯახზე განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.), რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-

ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს, მოჭიმულ იატაკს, იმ მიზნით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი პირების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში მოახდინოს N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები პირებისიდენტიფიცირება და მათი სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ საპრივატიზებო ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, შპს „მაილინ გრუპისაგან" საცხოვრებელი ფართების (ჯამში არანაკლებ 200 კვ.მ.) მიღებაზე და უარს აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის გაცხადებაზე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში მოახდინოს N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები იდენტიფიცირებული პირებისთვის (ოჯახებისთვის) საცხოვრებელი ფართით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი); მოჭიმულ იატაკს;

მომხსენებელმა ასევე ახსენა ხელშეკრულების 5.14 პუნქტი,რის თანახმადაც, საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დაიტვირთა იპოთეკის უფლებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ და ასევე, საჯარო რეესტრის შესაბამის ამონაწერებში დარეგისტრირდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, მათ სრულად შესრულებამდე.

მომხსენებელმა მიუთითა რომ მყიდველმა, შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე და ხელშეკრულების საფუძველზე პირგასამტეხლოს დაკისრებამდე, განცხადებებით მიმართა და აცნობა გამყიდველს, რომ განახორციელა 20 პირის იდენტიფიცირება, ასევე, შესაბამის მიწის ნაკვეთზემცხოვრები პირების (4 (ოთხი) ოჯახის) იდენტიფიცირება, თუმცა სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ ნასყიდობის საგანზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, შპს

„მაილინგრუპისაგან"საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, ხოლო უარს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის განცხადებაზე, მყიდველმა ვერ შეძლო, ვინაიდან იდენტიფიცირებული პირები უარს აცხადებენ ხელმოწერაზე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ასევე, რომ მყიდველმაშესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე და ხელშეკრულების საფუძველზე პირგასამტეხლოს დაკისრებამდე, აცნობა გამყიდველს, რომ ობიექტური მიზეზების გამო 2020 წლის 5 ივლისისათვის მყიდველი ვერ შეძლებდა საპრივატიზებო ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას და ითხოვა საპრივატიზებო ვალდებულებების, კერძოდ ხელშეკრულების 4.3.2 და 4.3.5 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის გათვალისწინებული ვადის 8 (რვა) თვით გახანგრძლივება, 2021 წლის 5 მარტამდე ვადით. ამასთან, წერილში მყიდველმა განმარტა, რიგი ობიექტური გარემოებები, რის გამოც ვერ მოხერხდა ვალდებულებების დროულად შესრულება, კერძოდ, მყიდველმა აღნიშნა, რომ კომპანია წააწყდა მნიშვნელოვან სირთულეებს სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში და მშენებლობის ნებართვის აღება მოხერხდა მხოლოდ 2019 წლის სექტემბრის ბოლოს. აღნიშნულის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, კომპანიამ დაიწყო სამშენებლო პროცესი (მყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წერილის შემოტანის მდგომარეობით, დასრულებული იყო 6 სართულიანი შენობის 4 სართულის მშენებლობა და დაწყებული იყო მე-5 სართულზე შესაბამისი სამუშაოები),თუმცა სამშენებლო სამუშაოებს ხელი შეუშალა პანდემიად აღიარებული, Covid-19-ის გავრცელების შედეგად შექმნილმა გარემოებებმა.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, იმ საკითხებზე, რაც მყიდველმა ითხოვა შესაბამისი განცხადებით:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარის იდენტიფიცირებისა და მათთვის ქონების გადაცემის ვალდებულებ(ებ)ი გადავადდეს 05.03.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშული პირები უარს განაცხადებენ ფართის მიღებაზე და კომპანიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა რომ არაუგვიანეს 05.05.2021 წლამდე აღნიშნული ფართი გადასცეს საკუთრებაში პირდაპირ თბილისის მუნიციპალიტეტს;
- N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე არამართლზომიერად/თვითნებურად მცხოვრები პირებისთვის ქონების გადაცემის ვალდებულება გადავადდეს 05.07.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთვევაში თუ აღნიშნულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება იქნება 5 ერთეულზე ნაკლები (მიუხედავად იმისა, შესაბამის პირ(ებ)ს გადაეცა ქონება თუ ფულადი კომპენსაცია), სხვაობა გადასცეს საკუთრებაში თბილისის მუნიციპალიტეტს არაუგვიანეს 05.08.2021 წლისა;
- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარისა და N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მაცხოვრებელი პირებისათვის

ფართის გადაცემის სანაცვლოდ თუკი ისინი დათანხმდებიან, ფულადი კომპენსაციის მიღებაზე (რაც გაფორმდება შესაბამისი ფორმით) კომპანიას აღნიშნული ჩაეთვალოს საპრივატიზებო მოვალეობების შესრულებაში;

- N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა #1-ში არსებულ ბინებს,გარდა წერილში მითითებული ბინებისა (25 ერთეული) მოეხსნას თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება და ვალდებულება;
- შპს „მაილინგრუპი"გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 6.4 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

მოხსენების დასასრულს, მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიერ, დღეის მდგომარეობით დასრულებულია მიწის ნაკვეთზე შესაბამისი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ამ ეტაპზე კომპანია მუშაობს შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

ამასთან, **ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ**ხელშეკრულების 4.3.4, 4.3.5 და 4.3.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, მყიდველს ხელშეკრულების 6.4 მუხლის საფუძველზე ეკისრება პირგასამტეხლო, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულებ(ებ)ის შესრულებამდე. 12.11.2020 წლის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს 111 900 (ას თერთმეტი ათას ცხრაასი) ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია:**

- წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ასევე, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პროცედურის დეტალურად გაწერა და აღნიშნულის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.
- ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შესათანხმებლად წარმოედგინა ხელშეკრულების 4.3.4, 4.3.5 და 4.3.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 6.4 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მყიდველის გათავისუფლების საკითხი, იმ პირობით რომ შპს „მაილინ გრუპი" ჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ

ვალდებულებებს, განკარგულებაზე თანდართული შეთანხმებით განსაზღვრული პირობების და ვადების დაცვით.

აზრი გამოთქვეს:

კომიიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის **პრეამბულაში**,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015წლის12 აგვისტოსN21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების მითითებისა და განკარგულების პროექტის სათაურსა და განკარგულების პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულების შესაბამისი ფორმით მითითების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით**,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,ქალაქთბილისში, დიდილილო/სოფელდიდლილოშიარსებული 70კვ.მმიწისნაკვეთის(საკადასტროკოდი: 81.08.04.628) სსიპ - საქართველოსსამოციქულოავტოკეფალურიმართლმადიდებელიეკლესიისთვის (ს/ნ:204395537)პირდაპირიგანკარგვისფორმითპრივატიზებისსაკითხისშეთანხმებისშესახებ"ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, განაკრგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქთბილისში, დიდილილო/სოფელდიდლილოშიარსებული 70კვ.მმიწისნაკვეთის (საკადასტროკოდი: 81.08.04.628) სსიპ - საქართველოსსამოციქულოავტოკეფალურიმართლმადიდებელიეკლესიისთვისგადაცემასშემ დგომშიმცირე ზომის ეკლესიისმშენებლობისმიზნით.

ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივი გარემოებებზე;

- საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ზემომითებულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების, 70 კვ.მ. ფართის საქართველოს სამოციქულო

ეკლესიისათვის პირდაპირიგანკარგვისწესით, **სიმბოლურფასად 1 (ერთი) ლარად**გადაეცესსაკუთრებაში, შემდგომშიმასზემცირეზომისეკლესიისმშენებლობისმიზნით;

- სსიპ - ურბანულიგანვითარებისსამსახურის პოზიციით, სამსახურსშესაძლებლადმიაჩნიამითითებულიმიწისნაკვეთისგანკარგვაშემდგომშიმასზემცირეზომისეკლესიისმშენებლობისმიზნობრიობით;
- სსიპ

- რელიგიისსაკითხთასახელმწიფოსააგენტომწერილობითიშუამდგომლობითმიმართასსიპ - ქონებისმართვისსააგენტოსდაითხოვასსიპ - საქართველოსსამოციქულოავტოკეფალურმართლმადიდებელეკლესიასსაკუთრებაშიგადაეცესქ. თბილისში, სოფელდიდლილოშიმდებარე 70 კვ.მმიწისნაკვეთი, შემდგომშიმასზე ეკლესიისმშენებლობისმიზნით;

- შპს „ჰერმესი" არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისება;

მომხსენებელმა შემაჯამებელი სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია სსიპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისათვის უძრავი ქონების გადაცემა სიმბოლური ფასის – (ერთი) ლარის სანაცვლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე **განხორციელდესეკლესიისმშენებლობა.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, ასევე, ამავე კოდექსის 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, მითითებული ორგანული კანონის 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოსN21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის ჩამატებისა და პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკური რედაქციით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003.01.573; N01.15.05.078.003.01.574) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა, № 16-ში, მე-2 სართულზე მდებარე 29.97 კვ.მ. და 9.95 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე სოფიო გოგოლაძისთვისსიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, ამასთან, **მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- მოქალაქე სოფიო გოგოლაძემ მიმართამთაწმინდის რაიონის გამგეობას წლების მანძილზე, თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, თავის მხრივ, გამგეობამ გასცა შუამდგომლობითი ხასიათის წერილი აღნიშნული პირისათვის ფაქტობრივად დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით;
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,როგოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ სოფიო გოგოლაძე დაახლოებით 15 წელი ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე, ამასთან, შესაბამისი მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტით ადასტურებენ აღნიშნული პირის მიერ უძრავ ქონებაში 2002 წლიდან ცხოვრების ფაქტს.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,დაინტერესებული პირისათვის, წლების მანძილზე თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტისქალაქთბილისისსაკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომიიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის **სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების,**პირველპუნქტში სწორი ფორმით ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის მითითების,უძრავიქონებისსაპრივატიზებოსაფასურის აღნიშვნისა და ამავე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორდეს მიზანშწონილობის ასევე, პროექტის მე-2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გასწორების აუცილებლობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხზე და მიუთითა, რომ აღნიშნული ითვალისწინებს,ქალაქთბილისისმთავრობისათვისთანხმობის მიცემას,ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით,საპრივატიზებო პირობით, პრივატიზებაზე, შპს „იბერკომპანის“საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N29-ის მიმდებარე არსებული **960 კვ.მ** მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, **საპრივატიზებო საფასურით - 247,000 (ორას ორმოცდაშვიდი ათასი) ლარი.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საკითხთა დაკავშირებით, შემდეგი სახით:

- შპს „იბერკომპანის“დირექტორმა ლევან დიასამიძემ მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კომპანიის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N29-ის მიმდებარედ არსებული 960 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მითითებული მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ (ავტოგასამართი სადგურის განთავსების მიზნით) გამოუსადეგარია, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ დამტკიცებამდე მიწის ნაკვეთზე **ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2),** ხოლო ახალი გენერალური გეგმით მას **სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სტატუსი მიენიჭა;**
- **N01.10.15.007.153** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების წინა საკადასტრო ერთეულზე, რომლის უმეტეს ნაწილს დღეის მდგომარეობით შეადგენს **N01.10.15.007.153** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებლად მიიჩნია წარდგენილი ესკიზის

მიხედვით ობიექტის სამშენებლო განვითარება, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სათანადო სამშენებლო დოკუმენტაციის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ;

- ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შპს „იბერკომპანი"ითხოვს თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **N01.14.05.003.013** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავ ქონების საკუთრებაში **გადაცემას (გაცვლას).**

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ განმცხადებელი, **თანხმობას აცხადებს,** მზად არის გადაიხადოს **გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.** ამასთან, შპს „იბერკომპანი"თანხმობას აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული განკარგულება მიღებულ იქნება ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, რომელსაც შეითანხმებს ქალაქ თბილისის საკრებულო, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, კომპანია უარს იტყვის თავის ადმინისტრაციულ სარჩელზე/სააპელაციო საჩივარზე, ადმინისტრაციულ საქმეზე N3/8293-17, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, სადაც მესამე პირად ჩართული არის სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

საკითხის წარმომდგენმა ასევე ისაუბრა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენდა შპს „იბერკომპანი", მოპასუხეს - სსიპ - ქონების მართვის სააგენტო და ქალაქ თბილისის მერია, ხოლო მესამე პირს - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მოცემული გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „იბერკომპანის"სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეებს შპს „იბერკომპანის"სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 372,879.97 (სამას სამოცდათორმეტიათას რვაასსამოცდაცხრამეტი ლარისა და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრის) ლარის ოდენობით, რაც უკავშირდებოდა კომპანიისთვის ამჟამად მის საკუთრებაში არსებული ქონების(960 კვ.მ მიწის ნაკვეთის) 2007 წელს თვითმართველობის მიერ ჩამორთმევის/იძულებით დათმობის შედეგად ქონების სხვა პირზე გასხვისებისგან დაცვის მიზნით მიღებულ ზიანს, ხოლო,გადაწყვეტილების თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდგომ საქმის განხილვა ისევ მიმდინარეობს.

მომხსენებელმა ისაუბრა ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების **სააგენტოს ქალაქგეგმარებითი დასკვნაზე,** რომლის თანახმად, **სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ზემომითითებული უძრავი ქონების განკარგვა (გაცვლა), მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ამასთან,** სსიპ - **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი პოზიციით,** სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების გაცვლა, კომპანიის ან მისი პარტნიორების მხრიდან მუნიციპალიტეტის ან

სახელმწიფოს მიმართ, ყოველგვარი ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე, ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე (მათ შორის, ადმინისტრაციულ საჩივარზე/სააპელაციო საჩივარზე (საქმე N3/8293-17)) უარის თქმის პირობით, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან არბიტრაჟში.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთები შეფასდა Colliers International Georgia-ს მიერ, ხოლო, აღნიშნული კომპანიის აუდიტორული დასკვნის თანახმად, N01.10.15.007.153 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, შეფასდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" დამტკიცებამდე მოქმედი ფუნქციური ზონის სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი გენერალური გეგმით მითითებულ ტერიტორიას მიენიჭა სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სტატუსი. შესაბამისად, N01.10.15.007.153 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 1,785,000 (მილიონ შვიდას ოთხმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.003.013) განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომლის ფართობიც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, შეადგენს 3.557.09 კვ.მ-ს. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 3.466.2 კვ.მ ფართი, ხოლო დანარჩენი ფართი წარმოადგენს სააქციო საზოგადოება „თელასის"საკუთრებას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე მიუთითა, რომ Colliers International Georgia-ს შეფასების თანახმად, ვინაიდან, შეფასების პროცესში შენობა იყო შავი კარკასის მდგომარეობაში, ბაზრის ანალიზის შედეგად და არსებული ზონირებიდან გამომდინარე, შემფასებელმა დაასკვნა, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენს ამ მიწის ნაკვეთის საუკეთესო და ეფექტურ გამოყენებას და შენობა არის დასანგრევი. ამასთან, შეფასების პროცესში შემფასებელმა არ გაითვალისწინა შენობის დემონტაჟის ხარჯები, რადგან მიიჩნია, რომ მეორადი მასალებიდან მიღებული შემოსავალი, სრულად აანაზღაურებს დანგრევის ხარჯებს. შესაბამისად, Colliers International Georgia-მა 2020 წლის 6 აგვისტოს აუდიტორული დასკვნით,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.05.003.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეაფასაროგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) განვითარების პერსპექტივით) და საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 1,860,000 (მილიონ რვაას სამოცი ათასი) აშშ დოლარი.

მომხსენებელმა შემაჯამების სახით აღნიშნა, ზემომითითებული გარემოებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობა გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზებისას ითვალისწინებს და ხელშეკრულებას **Colliers International Georgia-ის** მიერ

დადგენილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.05.003.013) ღირებულებით, ამასთან, დასძინა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მისაღებად მიიჩნია წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები და საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრა უძრავი ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა, რომელიც გაანგარიშებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ განკარგულების გამოცემის თარიღისათვის დადგენილი ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: **01.14.05.003.013.01.501; 01.14.05.003.013.01.502; 01.14.05.003.013.01.503,** თავისი წილი მიწის ნაკვეთით) შემდეგი საპრივატიზებო პირობებით გაცვლის ფორმით პრივატიზება:

- ქონების შემძენის (შპს „იბერკომპანი" (ს/ნ: 231963818) მიერ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ ვადაში **თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე (საქმე N3/8293-17),თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ სააპელაციო საჩივარზე (საქმე N330310117002207563) უარის თქმა,** სარჩელში/საჩივარში სადავოდ გამხდარ საკითხთან დაკავშირებით ყველა სახის მოთხოვნის და უფლების (მათ შორის, ზიანის, ზარალის, მიუღებელი შემოსავლის და გადახდილი თანხების ანაზღაურების თაობაზე) სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი ორგანოების/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სასარგებლოდ დათმობა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების/განჩინების სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის წარდგენა;
- ქონების შემძენის მიერ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ ვადაში N01.10.15.007.153 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულების (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882019160878) მოხსნა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურში გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდების მითითებისა და პროექტის მე–2 პუნქტის სტილისტური რედაქციით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506; 01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის საკითხის მოწონებისთაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, წერილობით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, **ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე, ქ. თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის შენობაში არსებული 54.54 კვ.მ. ფართისა და 13.50 კვ.მ. სარდაფის გამოსყიდვასთან დაკავშირებით, ამასთან, წერილში ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:**

- ზემომითითებული ქონება, **რუსუდან თორღვაშვილმა 1997 წლის 11 ოქტომბერს ანდერძით მიიღო მერაბ კოსტავას დედისგან - ოლღა დემურიასგან** და წარმოადგენს რუსუდან თორღვაშვილის ერთადერთ საცხოვრებელს;
- ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ ამ ფართების გამოცალკევება შეუძლებელია სამუზეუმო სივრცისაგან. შენობაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს და ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანებისთვის უზუფრუქტის ფორმით არის გადაცემული ორი ოთახი, 47.77 კვ.მ. ფართობით;
- გენერალური დირექტორი აღნიშნავს შემდეგ გარემოებებს: საქართველოს ეროვნული გმირის - მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1991 წელს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივითა და თაოსნობით. სახლ-მუზეუმი ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულია 2016 წლიდან. მასში დაცულია უნიკალური მასალა, მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, მისი ბიბლიოთეკა, ხელნაწერები და სხვა. მუზეუმში დაცულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფოტო და დოკუმენტური მასალა, წერილები;
- გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ მუზეუმს, მისი დაარსების დღიდან არ ჩატარებია მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. მისი მემორიალური თუ საექსპოზიციო სივრცეები ვერ პასუხობს თანამედროვე მუზეუმისთვის საჭირო მოთხოვნებს და მუზეუმების გაერთიანების მიზანია სახლ-მუზეუმი გახდეს ახალი მიზიდულობის ცენტრი დედაქალაქში, როგორც ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, ასევე, საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ტურისტისათვის, რასაც მისი უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობაც განაპირირობებს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, თანამედროვე

საგამოფენო-საექსპოზიციო სივრცეების მოწყობა, რაც ვერ ხერხდება, შენობაში არსებულ ფართებზე კერძო საკუთრების უფლების გამო. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, უაღრესად საჭირო სივრცის დეფიციტს ქმნის და, მეორე მხრივ, საყოფაცხოვრებო პროცესები შეუძლებელს ხდის მუზეუმისათვის ზედმიწევნით შესაფერისი გარემოს შექმნას;

- აღნიშნული გარემოებების გამო, **ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანება დაინტერესებულია სახლ-მუზეუმის შენობაში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვით** და მის მიერ დაიწყო შესაბამისი პროცედურებიც.

მომხსენებელმა მიუთითა, რომთბილისის მუზეუმების გაერთიანების 2020 წლის ბიუჯეტის განაცხადში გათვალისწინებულ იქნა მუზეუმის გამოსყიდვისათვის საჭირო საორიენტაციო თანხა, ამასთან, ისაუბრა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მუზეუმის დაინტერესებაში არსებული ფართების შეფასების შედეგად, მიღებულ მაჩვენებლებზე, კერძოდ:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო შეფასების მიხდვით, 01.15.02.011.011.01.506 და 01.15.02.011.011.01.004ა საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები შესაბამისად განისაზღვრა 49085 აშშ დოლარის და 1080 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ ფართების მესაკუთრესთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა მოლაპარაკებების დასაწყისში დაფიქსირებული თანხა (100000 აშშ დოლარი) და რუსუდან თორღვაშვილმა, 21.09.20წ. განცხადებით მოითხოვა **70000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში.**

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომმუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორის საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში მდებარე კერძო საკუთრების გამოსყიდვა. თავის მხრივ, მზადყოფნას აცხადებს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მუზეუმების გაერთიანებამ დაიწყოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების პროცედურები, ამასთან, აღნიშნული ფართების გამოსყიდვა მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს;

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ნასყიდობასთან დაკავშირებით,განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების შესაბამისადდა მოწონების მიღების მიზნითსაკითხიწარმოუდგინაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და **ქალაქ თბილისის** მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 დეკემბრის N20.1415.1748 განკარგულების მითითება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**,მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით,პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში და კორპუს N2-შიმდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას. აღნიშნული განკარგულების პროექტისა და მისი დანართის შესაბამისად უძრავი ქონება გადაეცემა 18 პირს/ოჯახს, აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 891.36 კვ.მ უძრავი ქონება.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას წარედგინა ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12–ში, კორპუს N1–ში და კორპუს N2–ში ფაქტობრივად მცხოვრებ მოქალაქეთა განცხადებები და ითხოვეს თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- შესაბამის დაინტერესებულ პირთა მიერ, საცხოვრებელი ფართებში წლების მანძილზე, ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია რომ მოქალაქეები უძრავ ქონებაში ცხოვრობენ 2008–2012 წლებიდან, მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, რომ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართ N1–ში მითითებული პირები ნამდვილად ცხოვრობენ 2008–2010 წლებიდან;

- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და ზემოთ აღნიშნული პირების ოჯახებს მინიჭებული აქვთ დაბალი სარეიტინგო ქულები;
- სამგორის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსდა ითხოვა, თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ პირებს, რომლებიცმრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-შიმდებარე უძრავ ქონებით,სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომქალაქ თბილისის მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა განკარგულების დანართი№1-ით წარმოდგენილ პირთათვის და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოქალაქეთათვის, წლების მანძილზე, თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზების საკითხს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალქ თბილისის მერიასთან ერთად, ხოლო, მიმდინარე სამართალწარმოებისას, პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისათვის, უმნიშვნელოვანესია დოკუმენტურად წარმოდგენილი მასალების სიზუსტე და ვალიდურობა, მათ, შორის უძრავი ქონების გადაცემით დაინტერებულ პირთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნაწილშიც, აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმ პირთა პირადობის მოწმობები, რომლებიც ვადაგასული სახით ახლდა მასალებს, წარმდგენილ იქნა განახლებული სახით, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში, სააგენტოს მიერ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, ხელშეკრულებების გაფორმებამდე, გონივრულ ვადებში.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ცვლილების, პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N20.1275.1580 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით,განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N344 განკარგულებაში ცვლილებების განხორციელებას, რაც გულისხმობს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N344 განკარგულების დანართი N1–ის კორექტირებასპირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული ქონების კვადრატულობის მაჩვნებლების ნაწილში, კერძოდ კი ზუსტდება, აღნიშნულ დანართშისიითი ნომრით N44 და N46 განსაზღვრული მოქალაქეებისათვის,იზოლდასიხარულიძისა და ზოიამიმინოშვილისათვის, გადასაცემი ქონების კვადრატულობის მაჩვენებელი.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესათანხმებლად იქნა წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ცვლილებების ასახვას „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N344 განკარგულების დანართ N1-ში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის N20.1438.1777 განკარგულების მითითების, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე,პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N344 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,**მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**